პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____მარტი_____2026 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 233-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 09 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის ---------- მომართვის ---------- შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ,,საქართველოს.მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №206074193) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი №100-ის მიმდებარედ/ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი №100 (ფართობით 23 467.30 კვ.მ; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.06.27.442), პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, 2027 წლის იანვრის თვის ჩათვლით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. უსასყიდლო აღნაგობის ფორმით სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებული იქნას საქართველოს მთავრობის 2025 წლის 20 ივნისის №1008 განკარგულებით განსაზღვრული სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის/რეაბილიტაციისათვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს უსასყიდლო აღნაგობის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: დავით ერემეიშვილი